სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №220

ქ. ბათუმი 20 ივნისი 2016 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მამია ბერძენიშვილის სახით და მეორე მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ლევან ჭყონია ლეკო სტუდიო ს/კ 61001035146 (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 იანვრის N185 განკარგულების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 23 თებერვლის №21 განკარგულების საფუძველზე (CPV) კოდი - 79961000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: ფოტომომსახურება, კერძოდ:

ა) შემსყიდველის მიერ მიწოდებული თემატიკის მიხედვით 40 დადგმული ფოტოს გადაღება, ხელშეკრულების №1, №2 და №3 დანართების შესაბამისად.

ბ) შემსყიდველის მიერ მიწოდებული თემატიკის მიხედვით 100 სტატიკური ფოტოს გადაღება, ხელშეკრულების №1 და №2 დანართების შესაბამისად.

1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია (დანართებში №1, №2, №3). რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართების №1, №2 და №3 შესაბამისად.

1.4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **29 000** (ოცდაცხრაათასი) ლარს.

1.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2. მომსახურების ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს, ამავე ხელშეკრულების დანართებში მითითებულ თემატიკას და სტანდარტებს.

2.2 ფოტო მომსახურების პერიოდში პრეტენდენტმა უნდა გაიაროს კონსულტაციები შესაბამისი მასალის ზოგადი ჩვენებისა და კონცეფციის შემუშავებისთვის. ფოტომომსახურების განხორციელების სცენარი შემუშავებული უნდა იქნეს შემსყიდველთან ერთად.

2.3. ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ,,შემსყიდველის" მოთხოვნებს.

2.4. ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების ხარისხზე.

2.5. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვნად ან უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია მიაწოდოს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ,,მიმწოდებელს", რომელიც ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების აღმოფხვრას, ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

3. ტექნიკური პირობები და მახასიათებლები

3.1. ფოტოსურათები გადაღებული უნდა იქნას მაღალი ხარისხის გარჩევადობით დამუშავებელ RAW ფორმატში დამუშავებული და გამზადებული დასაბეჭდად, ასევე დასამუშავებელ ფორმატშიც. (არანაკლებ 12 მეგაპიქსელი, პიქსელების რეზოლუცია არანაკლებ 4920x2800, საბეჭდი ზომა არანაკლებ (300 ppi - 14.30'' x 9,34'') 36 x 23 სმ).

3.2. გადაღებული ფოტოსურათების მიწოდების შემდეგ საავტორო უფლება გადადის შემსყიდველზე, ხოლო მიმწოდებელს ეძლევა უფლება გააზიაროს ან დადოს ფოტოსურათები ლეკოს საიტზე და ფეისბუქ გვერდზე (დამკვეთის სახელის ან ლოგოს მითითებით).

3.3. ფოტოსურათები შემსყიდველის მიერ გამოყენებული იქნება ბანერების, ბროშურების, პოსტერების და სხვა სარეკლამო მასალებისთვის.

3.4. მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს მომსახურების გაწევისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა-ჯგუფური და პერსონალურ პორტრეტებისთვის, ასევე ნატურმორტისთვის სტუდიური განათება 600-დან 1200 ვატი/წმ;

3.5. მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში გადაღებული ფოტოების რედაქტირება: მაქსიმალურად ნატურალური და მკაფიო. ყველა ფოტო უნდა იყოს პოლიგრაფიისთვის და ბეჭდური მედიისთვის მომგებიანი ტექსტის თუ სხვა გრაფიკული ელემენტის დასატანად (მაგ. მოწმენდილი ცა, ზღვა, კედელი, ასფალტის ზედაპირი, მინდორი და სხვა). ასევე უნდა გააჩნდეს ვრცელი ფონი საჭიროებისამებრ პროპორციების შესაცვლელად, მკაფიო და ხასხასა ფერები, განათება უნდა იყოს ზომიერი. არც გადანათებული და არც ბნელი.

3.6 პეიზაჟების გადაღებისათვის უნდა იქნებს შერჩეული შესაბამისი ამინდი (მკაფიო და მოწმენდილი ცა, მზიანი), ხოლო ღამის ფოტოების შემთხვევაში სწორად შერჩეული განათება.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტენიკურ პირობებთან.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3. ტექნიკური პირობისა და დანართებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით კონტროლი განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის ჯგუფის მიერ.

4.4. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სოფიო ლაზიშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი - თამარ მგელაძე.

4.5. შემსყიდველის მხრიდან კონტროლი განხორციელდება მომსახურების ნებისმიერ ეტაპზე და შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერი ფორმით შემსრულებლისგან მოითხოვოს შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

5. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადა

5.1 მომსახურების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, პრეტენდენტმა უნდა გაიაროს კონსულტაციები შესაბამისი მასალის ზოგადი ჩვენებისა და კონცეფციის შემუშავებისთვის. ფოტომომსახურების განხორციელების სცენარი უნდა იქნეს შემუშავებელი შემსყიდველთან ერთად.

5.2. მომსახურების გაწევა მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

5.3 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად:

ა) პირველი ეტაპის - დანართი N1 გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება არაუგვიანეს 2016 წლის 07 ივლისი.

ბ) მეორე ეტაპის - დანართი N2 გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება არაუგვიანეს 10 აგვისტო.

გ) მესამე ეტაპის - დანართი N 3 გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება არაუგვიანეს 10 ოქტომბერი.

6. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება–ჩაბარება განხორციელდება სამ ეტაპად, თითოეული დანართით გათვალისწინებული მომსახურებების მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირებია:

ა) მამია ბერძენიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ბ) სოფიო ლაზიშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გ) თამარ მგელაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება სამ ეტაპად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ან/და შემსყიდველისთვის წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიწოდების შემდეგ, დოკუმენტების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების განხორცილედება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

10.4 თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა ვალდებულების ან მისი ნაწილის არაჯეროვანი შესრულება, ან შეუსრულებლობა, გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და შემსრულებლისთვის დამატებითი ვადა გასულია ან მის განსაზღვრას აზრი არ აქვს, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%- ის ოდენობით.

11. ფორს მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	*ი/მ ლევან ჭყონია - ლეკო სტუდიო*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	*მისამართი: ქ. თბილისი აღმაშენებლის ქ #127*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	*საიდენტიფიკაციო კოდი: 61001035146*
სს "თიბისი ბანკი"	*სს „საქართველოს ბანკი"*
ბანკის კოდი: – TBCBGE22	*ბანკის კოდი: BAGAGE22*
ანგარიში № GE62 TB79 0173 60101000 15	*ანგარიში № GE 17 BG 0000000773029200*
დამკვეთი	*ინდივიდუალური მეწარმე*
/მამია ბერძენიშვილი/ ბ.ა.	*/ლევან ჭყონია/ ბ.ა*

2016 წლის 20 ივნისის №220 ხელშეკრულების დანართი №1

სარეკლამო კამპანიის მიზნით ფოტო - მომსახურება
პერიოდი: ივნისი

		თემატიკა	ფოტოს ტიპი	ფოტო რაოდენობა	სიუჟეტის რაოდენობა	გრძივი	განივი	ერთეულის ფასი (ლარი)	ფასი ჯამში (ლარი)	თვე	ლოკაცია
1	**სოფელი**	სოფელი - ოჯახები - კულტურა - ტრადიციები, საოჯახო სახლები, სოფლის აქტივობები	დადგმული	4	4	2	2	400,0	1600,00	ივნისი	ქედის მუნიციპალიტეტი
2	**გასტრონომია**	გასტრონომია - (ტრადიციული ქართული კერძების მომზადების პროცესი ადგილობრივი მცხოვრების და ტურისტის ჩართულობით)	დადგმული	3	3	1	2	400,0	1200,00	ივნისი	აჭარული ღვინის სახლი
3		ღვინო და გასტრონომია. კულტურული ძეგლის, ტიპური სოფლის სახლის ან მთის ფონზე გადაღებული ქართული ტრადიციული სუფრა , თამადის (ჩოხაში) და სხვადასხვა თაობის ადამიანების მონაწილეობით.	დადგმული	4	4	1	3	400,0	1600,00	ივნისი	აჭარული ღვინის სახლი,
4	**კულტურა**	ფოლკლორი - ტრადიციული ქართული სამოსის, ფოლკლორის და არქიტექტურის შერწყმა)	დადგმული	4	4	2	2	400,0	1600,00	ივნისი	ქედის მუნიციპალიტეტი
5	**ზოგადი თემატიკის ფოტოები**	ბოტანიკური ბაღი. პეტრას ციხე, გონიოს ციხე. მთების პანორამული ფოტოები, დელფინარიუმი; ქალაქი -ძველი ბათუმის ქუჩები, სკვერები-ქალაქის ახალი არქიტექტურა, ძვ.არქიტექტურა, პარკები-6 მაისის პარკი, საოცრებათა მოედანი, პიაცა, ევროპის მოედანი, არქიტექტურული დეტალები, მუზეუმები (ზღვა - საერთო ხედი: ქალაქის ხედზე შექმნილი ერთიანი კომპოზიცია, ყველა დამსვენებლის კატეგორიის გათვალისწინებით. საზღვაო აქტივობები: კატერები, პარაშუტი..... ფესტივალები	**სტატიკური**	**30**	–	–	–	130	3900,00	ივნისი	ბათუმი: ახალი და ძველი ბულვარი, პიაცა, 6 მაისის პარკი, სამების ტაძარი, გონიო, კვარიათი, საბაგირო, ციხისძირი
		სულ ჯამში		**45**	**15**	**6**	**9**		**9900,00**		

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**

2016 წლის 20 ივნისის №220 ხელშეკრულების დანართი №2

სარეკლამო კამპანიის მიზნით ფოტო - მომსახურება
პერიოდი: ივლისი

	თემატიკა		ფოტოს ტიპი	ფოტო რაოდენობა	სიუჟეტების რაოდენობა	გრძივი	განივი	ერთეულის ფასი(ლარი)	ფასი ჯამში(ლარი)	თვე	ლოკაცია
1	ზღვა	ზღვა - წყვილები (ახალგაზრდა გოგო და ბიჭი რომანტიულ გარემოში)	დადგმული	2	2	1	1	400,0	800,0	ივლისი	ბათუმი, ქობულეთი, სარფი, გონიო კვარიათი
2		ზღვა - ოჯახური დასვენება (ბავშვები, მშობლები და სხვა)	დადგმული	3	3	1	2	400,0	1200,0		ბათუმი, ქობულეთი, სარფი, გონიო კვარიათი
3		ზღვა- ახალგაზრდები, ზღვაზე გართობა (ზღვაზე გართობის სასუალებები)	დადგმული	3	3	1	2	400,0	1200,0		ბათუმი, ქობულეთი, სარფი, გონიო კვარიათი
4	ეკო ტურიზმი	ეკო ტურიზმი (ეკო-ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობების , კემპინგი, ტრეკინგი, ზიპლაინი, პიკნიკი, სამთო ველო და ა.შ. გადაღება ახალგაზრდების მონაწილეობით)	დადგმული	5	5	2	3	400,0	2000,0	ივლისი	მტირალას ეროვნული პარკი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მაჭახელას ეროვნული პარკი მირვეთი
5	გართობა	გართობა - ახალგაზრდები (ღამის კლუბები, ლაუნჯები , ფესტივალები) სპორტული აქტივობები: ბოულინგი, ბილიარდი, გოლფი	დადგმული	5	5	2	3	400,0	2000,0	ივლისი	ბათუმი, ქობულეთი, სარფი, გონიო , კვარიათი.
6		გართობა - სათამაშო-აზარტული აქტივობა	დადგმული	2	2	1	1	400,0	800,0		ბათუმი
7	ზოგადი თემატიკის ფოტოები	ბოტანიკური ბაღი. პეტრას ციხე, გონიოს ციხე. მთების პანორამული ფოტოები, დელფინარიუმი; ქალაქი -ძველი ბათუმის ქუჩები, სკვერები-ქალაქის ახალი არქიტექტურა, ძვ.არქიტექტურა, პარკები-6 მაისის პარკი, საოცრებათა მოედანი, პიაცა, ევროპის მოედანი, არქიტექტურული დეტალები, მუზეუმები (ზღვა - საერთო ხედი: ქალაქის ხედზე შექმნილი ერთიანი კომპოზიცია, ყველა დამსვენებლის კატეგორიის გათვალისწინებით. საზღვაო აქტივობები: კატერები, პარაშუტი..... ფესტივალები	სტატიკური	70	_	_	_	130	9100,0	ივლისი	ბათუმი, სამების ტაძარი, გონიო კვარიათი, საბაგირო, ციხისძირი
	სულ ჯამში			90	20	8	12		17100,0		

შემსყიდველი

მიმწოდებელი

2016 წლის 20 ივნისის №220 ხელშეკრულების დანართი №3

სარეკლამო კამპანიის მიზნით ფოტო - მომსახურება
პერიოდი: სექტემბერი

	თემატიკა		ფოტოს ტიპი	ფოტოების რაოდენობა	სიუჟეტის რაოდენობა	გრძივი	განივი	ერთეულის ფასი(ლარი)	ფასი ჯამში(ლარი)	თვე	ლოკაცია
1	მეღვინეობა	ღვინო - წყვილები (ვენახის , ღვინის კასრების ფონზე გადაღებული რომანტიული წყვილი, მეგობრები, როველის მოკრეფაში გლეხის და ტურისტის მონაწილეობა)	დადგმული	5	5	2	3	400,0	2000,00	სექტემბერი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ქედის მუნიციპალიტეტი, ღვინის მარნები, ღვინის მაღაზიები
				5		**2**	**3**		**2000,00**		

შემსყიდველი		მიმწოდებელი